



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

ბეჭდური მედიის მონიტორინგი შემაჯამებელი ანგარიში

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



INTERNEWS
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ანგარიშის შინაარსი შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციას.

სარჩევი

პროექტის შესახებ	3
მონიტორინგის მეთოდოლოგია	3
ძირითადი შედეგები:	4
გაზეთი „რეზონანსი“	5
გაზეთი „ახალი თაობა“	7
გაზეთი „ასავალ-დასავალი“	9
გაზეთი „კვირის პალიტრა“	12
გაზეთი „ქრონიკა +“	13
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“	16
გაზეთი „ალია“	18
გაზეთი „გურია News“	21
გენდერულად სენსიტიური გაშუქება	23

პროექტის შესახებ

„ინტერნუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, ბექდურ მედიას აკვირდებოდა.

მონიტორინგი 2020 წლის 15 ივნისი - 21 ნოემბრის პერიოდში მიმდინარეობდა.

დაკვირვება ხორციელდებოდა 8 გამოცემაზე: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“, „საქართველო და მსოფლიო“, „გურია news“.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

ბექდური მედიის მონიტორინგის მიზანი იმის განსაზღვრა იყო, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის კომპონენტებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაიზომოს: სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი, გაშუქების ტონი (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი), სუბიექტის სქესი (კაცი თუ ქალი).

თვისებრივი მონიტორინგისას ყურადღება ექცევა ისეთ მაჩვენებლებს, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია: ფაქტების დროული გაშუქება, ინფორმაციის დამახინჯება, დაუბალანსებელი გაშუქება, ტენდენციურობა, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება, ფოტოთი მანიპულირება, ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვა, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ფაქტი, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდებოდა პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდნენ. მონიტორინგის სუბიექტები ასევე იყვნენ: მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის), პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი.

მონიტორინგი უტარდებოდა არა მხოლოდ საარჩევნო თემაზე მომზადებულ სტატიებს, არამედ ყველა მასალას, სადაც მონიტორინგის სუბიექტებზე იყო საუბარი.

ანგარიში მოიცავს 15 ივნისიდან 21 ნოემბრის ჩათვლით პერიოდის ბექდური მედიის მონიტორინგის შედეგებს.

15 ივნისი - 21 ნოემბრის პერიოდში გაზეთების მონიტორინგმა შემდეგი შედეგები გამოავლინა:

- გაზეთების ნაწილი, ხშირ შემთხვევაში დაუბალანსებელ, ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ სტატიებს სთავაზობდა მკითხველს, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე, განსხვავებული მოსაზრებების გაცნობის საშუალებას არ იძლეოდა;
- გაზეთების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება რჩება: ზოგიერთი ჟურნალისტი არ ერიდებოდა მტკიცებულებების გარეშე ხელისუფლებისა და ამა თუ იმ პოლიტიკოსის მისამართით მძიმე ბრალდების წაყენებას ისე, რომ არც წყაროს ასახელებდნენ და არც ფაქტობრივი მასალით ასაბუთებდნენ წაყენებულ მძიმე ბრალდებებს;
- უმეტეს შემთხვევაში, გადამოწმების და არგუმენტების გარეშე შუქდებოდა რესპონდენტთა ბრალდების შემცველი განცხადებებიც: ჟურნალისტები არ ცდილობდნენ ფაქტების გადამოწმებას, არ სვამდნენ დამატებით კითხვებს, რათა ინფორმაციის სიზუსტე დაედასტურებინათ. ხშირ შემთხვევაში, კრიტიკის ობიექტს საპასუხო კომენტარის გაკეთების შესაძლებლობაც არ ჰქონდა.
- ზოგიერთ გამოცემაში პრობლემად რჩება პოლიტიკოსთა - როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების, მისამართით ჟურნალისტების მხრიდან შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენება. მსგავსი ტერმინები ხშირად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებშიც, თუმცა ჟურნალისტები მათგან გამიჯვნას არ ცდილობდნენ;
- გაზეთების უმრავლესობა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. თუმცა, მსჯელობა, ხშირ შემთხვევაში, ფაქტებით, სტატისტიკური მონაცემებით და კონსტრუქციული კრიტიკით გამყარებული არ იყო და ჟურნალისტების სუბიექტურ, დაუსაბუთებელ მოსაზრებებს ეფუძნებოდა;
- არჩევნების მოახლოებასთან ერთად მოიმატა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების გაშუქებამ, თუმცა გამოცემები ნაკლებად აშუქებდნენ პარტიების საარჩევნო პროგრამებს - მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა მიმდინარე პროცესებზე პოლიტიკოსთა მოსაზრებებსა თუ განცხადებებს, ინფორმაცია მიეღო მათ ცალკეულ აქტივობებზე: პარტიული სიების წარდგენა, პრემიერობის კანდიდატების დასახელება; პოლიტოლოგებთან და ანალიტიკოსებთან ინტერვიუებში მიმოხილული იყო საარჩევნო პროცესები, ფასდებოდა საარჩევნო გარემო, პარტიების სტრატეგია, კეთდებოდა პროგნოზები.
- გამოცემების ერთ-ერთ გამოწვევად ინფორმაციის საექვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული მასალები რჩება: ხშირ შემთხვევაში სტატია იწყებოდა ფრაზებით:

„წყაროს ცნობით“, „კულუარული ინფორმაციით“, „ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გვეუბნება, რომ...“ „გავრცელებული ინფორმაციით“, „ამბობენ, რომ..“ და ა.შ.

- ზოგიერთ გამოცემაში უხეშად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმები, გამოცემების ნაწილი კვლავაც იყენებდა შეურაცხყოფელ და არაეთიკურ ტერმინოლოგიას. თუმცა, წინა წლებთან შედარებით თითქმის აღარ გვხვდებოდა შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული შინაარსის ფოტოები;
- გენდერული სტერეოტიპების გამყარებას ხელს უწყობდნენ როგორც რესპონდენტები, ასევე ზოგიერთი გამოცემის ჟურნალისტი.

გაზეთი „რეზონანსი“

ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“ ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. გამოცემა თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა - პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკურ და სოციალური თემებსაც უთმობდა ადგილს. გაზეთში რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა.

გაზეთმა „რეზონანსმა“ ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (25%) და მთავრობა (23%) გააშუქა. 10% დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, 6% - „ევროპულ საქართველოს“, 4% - „ლელო საქართველოსთვის“, 3% - „სტრატეგია აღმაშენებელს“. არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიების გაშუქება, ხშირ შემთხვევაში, 2%-ს არ აღემატებოდა.

გამოცემა დაბალანსებულია. სტატიებში რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ იგრძნობოდა, შუქდებოდა როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მოსაზრებები და აქტივობები. თუმცა, ჟურნალისტები მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ - მონიტორინგის სუბიექტები, საშუალოდ, 80% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ.

ყველაზე მაღალი (12%) დადებითი ტონი მთავრობის მიმართ გამოვლინდა, რაც, დიდწილად, შინაგან საქმეთა სამინისტროს და მინისტრის აქტივობების (გახსნილი საქმეები, ოფიციალური შეხვედრები, ქველმოქმედება) გაშუქებამ გამოიწვია.

პოლიტიკური სუბიექტების მიმართ დადებითი ან უარყოფითი განცხადებები იშვიათად, ისიც მხოლოდ რესპონდენტებისგან ისმოდა. მაგალითად: „მელას რაც ელანდებოდაო - ასეთი რამ გამოსდის ვაშაძეს. მისი ფიგურა ნამდვილად არ იქნება გამაერთიანებელი“ (ინტერვიუ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან, 3.09, გვ. 3); „გახარიას საუბრის უნარი ნამდვილად აქვს, შეიძლება ითქვას არტისტი მეგრელია“ (ინტერვიუ ანალიტიკოს არჩილ გამზარდიასთან, 14.09, გვ. 3); „ივანიშვილის მსგავსი დემოკრატი მმართველი საქართველოს არც ჰყოლია და არც ეყოლება“ (თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, 16.09, გვ.5).

„რეზონანსს“ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები არ გაუშუქებია, თუმცა მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა პოლიტიკოსთა მოსაზრებებსა და განცხადებებს, ინფორმაცია მიეღო მათ ცალკეულ აქტივობებზე: პარტიული სიების წარდგენა, პრემიერობის კანდიდატების დასახელება; გაშუქდა პარტიული აქტივისტების ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევები; გამოცემა პოლიტოლოგებთან და ანალიტიკოსებთან ინტერვიუებში მიმოიხილავდა საარჩევნო პროცესებს, შეფასებული იყო საარჩევნო გარემო, პარტიების სტრატეგია, კეთდებოდა პროგნოზები.

ეს ტენდენცია არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში განვითარებული პროცესების გაშუქების დროსაც შენარჩუნდა - არჩევნების მეორე ტურამდე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე საუბრისას მიკერძოებული ან მოვლენების ცალმხრივად გაშუქების შემთხვევები არ გამოვლენილა: შუქდებოდა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლების პოზიციები, ასევე ოპოზიციის განცხადებები, რომლიც მმართველ გუნდს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდა. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა არჩევნების შედეგების შეფასებებს და კრიტიკულ ანალიზს: „2020 წლის არჩევნები „ჩავარდა“. ოღონდ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლებამ გააყალბა. რა თქმა უნდა, გააყალბა, თან ძალიან თავხედურად და „უკანმოუხედავად“, მაგრამ ხელისუფლების დანაშაული მხოლოდ ეს არ ყოფილა. მთავარი ისაა, რომ ამჯერად ხელისუფლებამ ხალხს მოპარა შანსი, გაეკეთებინა არჩევანი არა „ძველსა“ და „ყოფილს“, „ცუდსა“ და „უარესს“ შორის, არამედ გამოსულიყო მეტისმეტად გაწელილი, ისტორიული „ჩაკეტილი წრიდან... „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნებაც“, როგორც ჩანს, დაინტერესებული იყვნენ, დარჩენილიყო „ორი პოლუსი“- ხელისუფლება და მისი „ერთადერთი ოპოზიცია“ (სტატია „არჩევნების მცდარი ალტერნატივა და „უკან მომავალში“, 9.11, გვ.6).

გაზეთი წყაროების და თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ინფორმაციები სპეციალისტების შეფასებებით და სტატისტიკური მონაცემებით იყო გამყარებული. თუმცა, ექსკლუზიური, სიღრმისეული და მეტად ანალიტიკური სტატიები გამოცემას მკითხველისთვის უფრო საინტერესოს გახდიდა.

მონიტორინგის პერიოდში გამოცემაში გვხვდებოდა გენდერულად სენსიტიური გაშუქების შემთხვევები. მაგალითად, ინტერვიუ პოლიტიკური გაერთიანება „მოქალაქეების“ ლიდერ ალექსანდრე ელისაშვილთან: „გული მერევა, ორლობის დედაკაცებივით ჭორაობენ, სამგლე გოჭებივით ნუ არიან ატეხილი ბოკერია და მისი მექრთამე ძმაკაცები“ (25.06, გვ. 1-2).

გენდერული კუთხით ყურადღებას ასევე იქცევს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის, გიგა ბოკერიას განცხადება, სადაც იგი პარლამენტში გენდერული კვოტირების შესახებ საუბრობს: „კვოტები არაა მისაღები, არა იმიტომ, რომ პრობლემა არ არსებობს - უმძიმესი პრობლემები გვაქვს ქალთა უფლებების მიმართულებით... იმის მაგივრად, რომ ებრძოლო მათ, ვინც ქალებს უყურებს, როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეებს და ასეთები სხედან დარბაზში და ხმას აძლევენ ფარისევლურად, როდესაც თვითონ იმეორებენ, რომ ქალის ადგილი სამზარეულოშია. ახლა უნდათ, რომ თოჯინებად ჰყავდეთ.“ (2.07, გვ.4)

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "რეზონანსი"
15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020

■ დადებითი ■ ნეიტრალური ■ უარყოფითი



გაზეთი „ახალი თაობა“

ყოველდღიური გაზეთი „ახალი თაობა“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. პოლიტიკურის გარდა შუქდებოდა ეკონომიკური და სოციალური საკითხებიც. გამოცემა მეტ-ნაკლებად დაბალანსებული იყო, სუბიექტების გაშუქებისას არ გვხვდებოდა ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

გამოცემამ ყველაზე მეტი ფართობი „ქართული ოცნების“ (26%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (13%) და მთავრობის (10%) გაშუქებას დაუთმო. პოლიტიკური პარტიებიდან შედარებით ვრცლად გაშუქდნენ „ევროპული საქართველო“ (8%) და „ლეიბორისტული პარტია“ (4%), თითქმის 3-3% დაუფროვდათ: „ლელო საქართველოსთვის“, „გამარჯვებულ საქართველოს“ და „ერთიან საქართველოს“. სხვა საარჩევნო სუბიექტების გაშუქება კი 2%-ს არ აღემატებოდა.

სუბიექტები, საშუალოდ, 80% ნეიტრალურად გაშუქდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა „ქართული ოცნება“, რომლის გაშუქების 53% უარყოფით ტონზე მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტია ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტი იყო, მისი წევრების ინტერვიუებსა და კომენტარებს გამოცემა ადგილს ნაკლებად უთმობდა. ამ კუთხით ბალანსი ოპოზიციური პარტიებისკენ იხრებოდა. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ და

მთავრობის, სხვებთან შედარებით, მაღალი უარყოფითი ტონი, ძირითადად, კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტების განცხადებების შედეგი იყო.

ეს ტენდენცია არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში განვითარებული პროცესების გაშუქების დროსაც შენარჩუნდა - ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ინტერვიუებში მმართველ გუნდს არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ, თუმცა ბრალდების ადრესატს პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ ეძლეოდა.

სუბიექტების უარყოფით ტონს, უმეტესწილად, რესპონდენტთა და ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების განცხადებები განსაზღვრავდა, თუმცა ზოგჯერ ჟურნალისტთა კითხვა/კომენტარებიც მიკერძოებელი იყო. მაგალითად: „წინა მოწვევის პარლამენტი ცირკს ჰგავდა. ალბათ, გინდათ თქვენც, რომ ეს რეალობა შეიცვალოს?“ (29.10, გვ.3); „ანუ იქნება პური და სანახაობა? ამას გვთავაზობს ივანიშვილი?“ (5.10., გვ.2); „გიორგი ვაშაძის „ფენომენზე“ რას იტყვი?... ახალგაზრდულ ასაკში ჰილარი კლინტონის მოწონებული იუსტიციის სახლი გააკეთა და წარმოიდგინეთ ახლა რას იზამს ხალხთან ერთადო!“ (6.10., გვ.4); „ამ ფონზე, როცდესაც ხელისუფლება ამდენს ბედავს, ოპოზიცია რატომ აძლევთ მათ კოზირებს ერთმანეთთან დაპირისპირებით?“ (28.09., გვ. 3).

გაზეთ „ახალ თაობაში“ დადებითად გაშუქების ყველაზე მაღალი (12%) მაჩვენებელი მთავრობას ჰქონდა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს აქტივობების გაშუქებამ განაპირობა: თითქმის ყველა ნომერში ქვეყნდებოდა ინფორმაცია გახსნილი საქმის თუ სამინისტროში ჩატარებული ტრენინგ/შეხვედრების შესახებ.

გამოცემას პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები არ გაუშუქებია, თუმცა სხვადასხვა საარჩევნო თემა აქტიურად შუქდებოდა: მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა ექსპერტთა პროგნოზებსა და მოსაზრებებს შესაძლო ალიანსების, ხმების განაწილებისა და არჩევნების შედეგების შესაძლო გაყალბების შესახებ.


საქართველოს საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების შესახებ კანონის მიღება კაცი პოლიტიკოსის მხრიდან გენდერული ნიშნით სენსიტიური განცხადების მიზეზი გახდა: „ბიძინა ივანიშვილს აქვს დევიზი ამ თვალსაზრისით და ეს აჩვენა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მაჟორიტარის დასახელებამ. ადრე გამოთქმა იყო „ქალი კუხნაში“, ივანიშვილისთვის ეს გამოთქმა არის „ქალი სიაში“ (ინტერვიუ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ სერგო რატიანთან, 21.07, გვ. 3).

ასევე დაფიქსირდა შემთხვევა, როცა „ქალური ქცევა“ კაცი პოლიტიკოსის შურაცხყოფისთვის გამოიყენეს: „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა, გიგლა ბარამიძემ კორონავირუსის საწინააღმდეგოდ ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების კომენტარებისას განაცხადა, რომ „ყველაფერს თუ ჩაკეტავ და ჩაკლავ, ეს გამარჯვება არ არის. ბოლო დროს პრემიერი გახარია უფრო მეტად იწონებს თავს და გასათხოვარი ქალივით დაიპრანჭება. საინტერესოა, რით ტრაბახობს?“ (20.07, გვ.3)

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ახალი თაობა"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



გაზეთი „ასავალ-დასავალი“

ყოველკვირეული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ საარჩევნო თემებს და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობებს ნაკლებად აშუქებდა. გამოცემა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. უარყოფითი გაშუქება, ხშირ შემთხვევაში, ფაქტებით გამყარებული არ იყო და ჟურნალისტების სუბიექტურ, დაუსაბუთებელ მსჯელობას ეფუძნებოდა.

გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“ მონიტორინგის პერიოდში ყველაზე მეტად ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი (20%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (19%) გააშუქა. მათ 18%-ით მოჰყვება „ქართული ოცნება“, 9-9%-ით - „ევროპული საქართველო“ და „ლელო საქართველოსთვის“; შედარებით ვრცლად (4%) გაშუქდა „ქართული მარშის“ აქტივობებიც. არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკური პარტიების გაშუქების მაჩვენებელი ბევრად ნაკლები იყო და ხშირ შემთხვევაში 2%-ს არ აღემატებოდა.

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობას არ აშუქებდა: არ განხილულა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები და პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები. მკითხველს შესაძლებლობა არ მიეცა პარტიების ხედვების შესახებ ინფორმაცია მიეღო, რაც არჩევნების დღეს გადწყვეტილების მიღებაში დაეხმარებოდა.

სუბიექტების გაშუქების ტონი, უმეტეს შემთხვევაში (საშუალოდ 65%), უარყოფითი იყო. კრიტიკული, მწვავე, დაუსაბუთებელი და ხშირ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი განცხადებები კეთდებოდა როგორც ოპოზიციური პარტიების, ისე მმართველი გუნდის მისამართით.

სუბიექტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები ვლინდებოდა როგორც რესპონდენტთა განცხადებებში, ასევე ჟურნალისტთა ტექსტებშიც. მაგალითად: „საკაშვილის მსგავსად, ამ „გაერთიანებულ ოპოზიციას“ რევოლუციით იმუქრება ყველა“ (19-25.10., გვ.18); „იქ, სადაც ბუბა კიკაბიძე და ნაცები არიან, საქართველო არ არის“ (2-8.11, გვ.8); „შუამდგომლობით მივმართავთ ხაზარ-ფაშა მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს - ნომინაციაში „ვინ მეტი მძღ...რი (ცენზურა ჩვენია. რედ) წაისვა თავზე“ გამარჯვებულად გამოავლინონ და პრემია „საბა“ გადასცენ პარლამენტარ სალომე სამადაშვილს“ (9-15.11, გვ.9); „ფინანსური განგსტერი“, „ლელოელი ყაჩაღ-ბანკირი“ - მამუკა ხაზარაძე; „ნაცების გალუნული ხერხემალი - ვანო მერაბიშვილი“.

შეურაცხმყოფელი და არაეთიკური გამონათქვამები მრავლად იყო სტატიებში, სადაც არჩევნების შედეგებს მომოიხილავდნენ. მაგალითად: „თუ ასე გაგრძელდა, 2024 წლის არჩევნებზე სააკაშვილი თბილისში თეთრი ვირითა და ალესილი ცოცხით შემოჯირითდება და გამარჯვებულ შარვალჩახდილთა პარადს ატოცის ნაცვლად თავისუფლების მოედანზე ჩაატარებს... ერი, რომელიც ატოცში უკანალის წამოხდის ინიციატორს „გასაბერი ეკლესიების“ შემოქმედს, საკუთარი პარტიის ოფისში ბორდელის დამაარსებელსა და ტელევიზიის პირდაპირ ეთერში პლანის მთესველს ზურაბ-გირჩი ჯაფარიძეს ხმათა 3% მისცემს, არ არის თავისუფლების ღირსი“ (სტატია „ჩეხოვის ცოცხი და შაშკინის ფიშტო“, 2-8.11., გვ.5).

გაზეთი მწვავე და არაეთიკურ გამოთქმებს არც მმართველი გუნდის წევრების მისამართით იშურებდა და მათ „ნაცრეჟიმის ნარჩენების აღზევებაში“ ადანაშაულებდა: „დღევანდელ ხელისუფლებას ნაცდამნაშავეების წინააღმდეგ თავის დროზე კანონისა და სამართლის ჭავლი რომ გამოეყენებინა, დღეს მათ წინააღმდეგ წყლის ჭავლის გამოყენება არ დასჭირდებოდა“ (9-15.11., გვ.2); „ხალხი, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბერს ქართულ ოცნებას სიყვარულით ირჩევდა, დღეს ხმას სიძულვილით აძლევს, რათა ისევ ნაცები არ მობრუნდნენ“ (2-8.11., გვ.14)

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ შემთხვევაშიც უარყოფითი ტონი სჭარბობდა, მთავრობა (განსაკუთრებით თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი) და პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, უმეტესწილად, დადებით და ნეიტრალურ კონტექსტში გაშუქდნენ. მაგალითად, სტატიაში „გიორგი გახარია და „ქართული ოცნების“ ქოცეული“ ჟურნალისტი აკრიტიკებს მმართველი გუნდის მიერ წარმოდგენილ საარჩევნო სიას, მაგრამ პრემიერის მიმართ აღფრთოვანებას ვერ მალავს: „საგურამოდან მთაწმინდამდე ასვლა ილიამ სიცოცხლის შემდეგ შეძლო! ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვით, რომ გახარიამ ეს ქართველი ხალხის სიყვარულით სიცოცხლეშივე მოახერხა“ (14-20.09, გვ.2); „დღეს ქართულ ოცნებას ყავს ორი ლიდერი - გიორგი გახარია და ირაკლი ღარიბაშვილი, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკოსები კი არა, სახელმწიფო მოღვაწენიც არიან!“ (ინტერვიუ ისტორიკოს ედიშერ გვენეტაძესთან, 16-22.11, გვ.13).

გამოცემა დიდ ფართობს უთმობდა ინტერვიუებს ისეთ რესპონდენტებთან, რომლებიც როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ მკვეთრად კრიტიკული განწყობით გამოირჩეოდნენ. მათ განცხადებებში ხშირად გვხვდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები და შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, თუმცა ინტერვიუების დროს ჟურნალისტები არ ცდილობდნენ დამატებითი კითხვებით ფაქტების გადამოწმებას, არც ინფორმაციის ობიექტურობაში ეპარებოდათ ექვი და ხშირ შემთხვევაში დისკუსიაში თავადაც მონაწილეობდნენ.

გაზეთი „ასავალ-დასავალი“ დაუბალანსებელია: მოვლენები ცალმხრივად შუქდებოდა, მკითხველს შესაძლებლობა არ ჰქონდა განსხვავებულ მოსაზრებებს გაცნობოდა. გამოცემაში მრავლად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების დარღვევის, სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. თუმცა, წინა წლებთან შედარებით, შემცირებული იყო შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული შინაარსის ფოტოების რაოდენობა.


მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა გენდერულად სენსიტიური გაშუქების ისეთი შემთხვევები, როცა „ქალი“ და „ქალური ქცევა“ კაცი პოლიტიკოსის შეურაცხყოფისთვის გამოიყენება. მაგალითად, სტატია „ასპარეზზე გამოდის ნაციანალურ-რესპუბლიკური კოალიცია!“: „რაც მთავარია, ეს ის რესპუბლიკური პარტიაა, რომლის ლიდერი „დები ბერძენიშვილები“ ჯერ კიდევ ქოცხელისუფლებაში ყოფნისას ტელეკამერების წინ აფრიალებდნენ ლგბტ დროშას?!“ (21-27.09, გვ.9);

ზოგ შემთხვევაში გამოცემა ექვექვემ აყენებდა ქალი პოლიტიკოსების პროფესიონალიზმს. მაგალითად: „მარიამ ჯაში გამოვიდა და განაცხადა - არჩევნებს დაველოდოთ და გამოძიება მერე დავიწყოთო! აი, უტვინო დედაკაცი... დააკვირდით, რას აცხადებს მეორე უტვინო და მოღალატე - აზერბაიჯანმა და საქართველომ სადავო ტერიტორია ერთობლივად მართოსო! ეს ანა დოლიძემ ბრძანა - ამერიკაში „განსწავლულმა“ უტვინომ“ (19-25.10, გვ.5).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ასავალ-დასავალი"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



გაზეთი „კვირის პალიტრა“

ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“ თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. იგი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აქტიურად აშუქებდა, რა დროსაც რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა. ჟურნალისტები ცდილობდნენ მოვლენები სხვადასხვა რაკურსით, სიღრმისეულად გაეშუქებინათ.

გაზეთმა პოლიტიკური სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (29%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%) და „ლელო საქართველოსთვის“ (10%) გააშუქა. 5% ერგო „სტრატეგია აღმაშენებელს“, 4% - „ევროპულ საქართველოს“. სხვა პოლიტიკური პარტიებისთვის დათმობილი ფართობი, საშუალოდ, 2%-ს არ აღემატებოდა.

სუბიექტების გაშუქების, საშუალოდ, 70% ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. მათ მიმართ გამოვლენილ უარყოფით ტონს, უმეტესწილად, პოლიტიკოსთა ერთმანეთის მიმართ გამოთქმული კრიტიკული განცხადებები განაპირობებდა და არა ჟურნალისტთა სუბიექტური გამონათქვამები. თუმცა, ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ კითხვების დასმას, ცდილობდნენ საკითხები სიღრმისეულად გაეშუქებინათ და სხვადასხვა აქტუალურ, კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი კრიტიკული დამოკიდებულება დაეფიქსირებინათ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მიმართ: „ბუნებრივია, ნაციონალური მოძრაობის მოქმედებამ საზოგადოების დიდ ნაწილში პროტესტი გამოიწვია. ისინი თითქოს მიზანმიმართულად შეეცადნენ კორონავირუსის გავრცელების მეტად აფეთქებას. მეტიც, სააკაშვილი უკვე ახალ შეკრებებს აანონსებს, რამაც შეიძლება მართლა კატასტროფამდე მიიყვანოს ქვეყანა. ამიტომაც ჩნდება განცდა, რომ ამ პოლიტიკური ძალისთვის ადამიანი, მისი უფლებები და კეთილდღეობა ოპოზიციისაში ყოფნისას ისეთივე უმნიშვნელოა, როგორც ხელისუფლებაში ყოფნისას იყო“ (19-25.10, გვ.2); „მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანია აქტიურად დაიწყო. მიმდინარეობს შეხვედრები რეგიონებში, თუმცა ფაქტია, რომ „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო პიარის ხერხები გვარიანად დაუძველდა. ისევ ნეგატივზე აქცენტი, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის გახსენება, გაუთავებლად სააკაშვილის ხელისუფლების ნაკლზე ლაპარაკი“ (17-23.08, გვ. 2); „ქვეყნის პირველმა ლეიბორისტმა შალვა ნათელაშვილმა თქვა, კორონავირუსი ხელისუფლებას ტუზივით დაეცაო. მართლა სათავისოდ იყენებს მთავრობა პანდემიით გამოწვეულ შიშს?“ (19-25.10., გვ.21)


გაზეთს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები და წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა არ გაუშუქებია, თუმცა მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში აქტიურად ჩართულ პარტიებსა და პოლიტიკოსებს რუბრიკებში „კვირის თემა“ და „პოლიტიკური ლაბირინთი“ ეთმობოდათ ადგილი. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა მათ მოსაზრებებს გაცნობოდა.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ თემების, ინფორმაციის წყაროთა და რესპონდენტთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა: ექსპერტებთან ინტერვიუებში განიხილებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებებსაც.

გამოცემა დაბალანსებული და მიუკერძოებელია. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, არ იყენებდნენ სიძულვილის ენას და ხელს არ უწყობდნენ სხვადასხვა სახის სტერეოტიპების გავრცელებას.

მონიტორინგის პერიოდში გაზეთში გენდერულად საფრთხის შემცველი, სექსისტური განცხადებები არ გაკეთებულა. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევა, რომელიც ამყარებს სტერეოტიპს, რომ ქალს დაცვა სჭირდება - ინტერვიუ „მოდრაობა ხალხისთვის“ ლიდერ ანა დოლიძესთან: „მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყავი პრეზიდენტის დანიშნული, თანაც ქალი, სალომე ზურაბიშვილს არც ერთხელ ხმა არ ამოუღია, არც ინსტიტუციურად დაუჭერია მხარი, არც - ადამიანურად.“ (22-28.06, გვ. 30).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) გაზეთი "კვირის პალიტრა" 15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



გაზეთი „ქრონიკა +“

ყოველკვირეული გაზეთი „ქრონიკა+“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად, თუმცა ცალმხრივად და სუბიექტურად აშუქებდა: ხშირად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები, დაუსაბუთებელი მსჯელობა, შეურაცხმყოფელი და არაეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენება. გაზეთის მკითხველს შესაძლებლობა არ ჰქონდა განსხვავებულ მოსაზრებებს და სხვადასხვა კუთხით გაშუქებულ საკითხებს გაცნობოდა.

„ქრონიკა“-მა მონიტორინგის პერიოდში ყველაზე მეტად (30%) „ქართული ოცნება“ გაშუქა. მას 11%-ით მოჰყვება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 8% აქვს „სტრატეგია აღმაშენებელს“, 6% - „ლეიბორისტულ პარტიას“, 5% - კი „ერთიან საქართველოს“. სხვა პოლიტიკური გაერთიანებებისთვის დათმობილი ფართობი, უმეტეს შემთხვევაში, 3% არ აღემატებოდა.

სუბიექტები, საშუალოდ, 70% ნეიტრალურ ტონში გაშუქდნენ, გამონაკლისს წარმოადგენდნენ „ქართული ოცნება“ და მთავრობა - მათ უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ. ამის მიზეზი ხელისუფლების მიმართ როგორც ოპოზიციურად განწყობილი რესპონდენტების განცხადებები, ასევე ჟურნალისტების კრიტიკული შეფასებები იყო. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტების კრიტიკა მიკერძოებული და სუბიექტური უფრო იყო, ვიდრე ფაქტებით გამყარებული.

„ქრონიკა“-მა ვრცლად გააშუქა არჩევნების დღეს და შემდგომ პერიოდში განვითარებული პროცესები. გაზეთი ეგზიტპოლებზე და პირველად მონაცემებზე დაყრდნობით ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებაში ადანაშაულებდა: „2020 ის არჩევნებში ქართველმა ხალხმა „ქართულ ოცნებას“ მკაფიოდ უთხრა - არა! არჩევნები გაყალბდა! ... ხალხის არჩევანი მოპარულია!“ (3.11, გვ. 2); „ცესკომ, ცხადია, ივანიშვილის გუნდის მითითებით ახალი არითმეტიკა მოიგონა.“ (3.11, გვ. 4); ზოგ შემთხვევაში ჟურნალისტი არჩევნებს მოიხსენიებს როგორც „ივანიშვილის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციას“ (10.11, გვ. 2).

არჩევნების შემდგომ პერიოდში ხშირად ქვეყნდებოდა „პარტიის კულუარებიდან“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადებული სტატიები, რომლებიც მმართველი პარტიის მიმართ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს შეიცავდა: „ქართულ ოცნებაში“ მძიმედ არის საქმე. გუნდი ორად არის გაყოფილი. აგრესიულ ფრთას ირაკლი კობახიძე წარმოადგენს. ეს უკანასკნელი „ქართული ოცნების“ წევრებსაც აღიზიანებს. გაღიზიანებულია ბიძინა ივანიშვილიც. გავრცელებული ინფორმაციით, არჩევნების დამეს მთავარმა მეოცნებემ კობახიძე გამოლანძღა, სხვა ლიდერები კი მას ფიზიკურად შეეხნენ.“ (10.11 გვ. 5); „ბოლო ხანებში კულულებიანმა ყმაწვილმა ავტოგოლების ავტორისგან ბევრი საყვედურები მიიღო. ცემა-ტყეპამდე საქმე არ მისულა, მაგრამ ყურის აწევა იყო“ (17.11 გვ. 5).

მმართველი პარტიის მიმართ უარყოფითი განწყობა ისეთ სტატიაშიც გვხვდება, რომელიც პოლიტიკურ და საარჩევნო თემებს პირდაპირ არ უკავშირდება. მაგალითად, 17 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა „სტრატეგიული კვლევისა და განვითარებისა ცენტრის“ კვლევა ჰიგიენურ საშუალებებში მავნე ნივთიერებების შემცველობასთან დაკავშირებით. მასში საუბარია სამომხმარებლო ნაწარმის უსაფრთხოების სახელმწიფო კონტროლის შექმნის საჭიროებაზეც. ბოლოს, დასკვნის სახით ჟურნალისტი კითხულობს: „რატომ ვერ მოახერხა ეს „ქართულმა ოცნებამ“, როდესაც მილიონობით ლარი მიდის ტენდერებზე, იქიდან „ატკატებსა“ და ათასი ჯურის კორუფციულ სქემაზე?“

სახელისუფლებო გუნდის მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებებით რესპონდენტებიც გამოირჩეოდნენ. მაგალითად: „ქვეყანას მართავს წუპაკმაისტერების გუნდი, რომელსაც შუღერობის მეტი არაფერი შეუძლია“ (ინტერვიუ „ერთიანი საქართველოს“ გენერალურ მდივან გიგლა ბარამიძესთან, 17.11, გვ.5).

„ქრონიკა+“ იშვიათად, თუმცა ყოველთვის უარყოფით კონტექსტში (87%) აშუქებდა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს. ვრცელ სტატიებში მრავლად იყო შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, რომლებიც გენდერული კუთხითაც იქცევა ყურადღებას, რადგან ქალი პოლიტიკოსის იმიჯის შელახვას ისახავდა მიზნად. მაგალითად: „სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ზურაბიშვილი უშნოდ დაკუნტრუმობდა გარეჯში. რასაც კი გაეკარა, ყველაფერი გააფუჭა“ (20.10, გვ. 24).


ჟურნალისტები არც სხვა ქალი პოლიტიკოსების იმიჯის შელახვას ერიდებოდნენ. მაგალითად: „რისი იმედი გვქონდა, ლამაზიეული ჯანდაცვის მინისტრი რომ გვყავს, რომელმაც თავდაც კი არ იცის, რას ბჟუტურობს?! ასეთი კრიზისმენეჯერები რომ გვყავს, მაგიტომაც არის ასე მძიმედ საქმე“ (20.10, გვ.25).

გაზეთში გენდერულად სენსიტიური გაშუქების შემთხვევა პარლამენტის მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების კანონის მიღებაზე საუბრის დროსაც დაფიქსირდა. 14 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის წევრ გიორგი გუგავასთან, სადაც როგორც პოლიტიკოსის პასუხში, ასევე ჟურნალისტის შეკითხვაში - თქვენმა პარტიულმა ლიდერმა რიტორიკულად იკითხა, - ვერ გავიგე, დეპუტატებს ვირჩევთ თუ სასქესო ორგანოებსო? ... ასეთი მძაფრი რეაქცია იმიტომ გქონდათ, რომ ქალები, რომელთაც საარჩევნო სიაში ჩაწერთ, არ გყავთ?“ - შეურაცხმყოფელი შეფასებები მეორდებოდა.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ქრონიკა+"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“

ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ახალი ამბების გაშუქებას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების გაშუქება, ძირითადად, საერთაშორისო ურთიერთობათა ჭრილში ხდებოდა. გამოცემა პრორუსული და ანტიდასავლური განწყობით გამოირჩევა.

გამოცემამ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (29%), „პატრიოტთა ალიანსი“ (15%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (10%) გააშუქა. 6-6% ერგოთ „ქართულ იდეას“ და დიდუბე-ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში მაქორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატ დიმიტრი ლორთქიფანიძეს, 3% - ევროპულ საქართველოს, არჩევნებში მონაწილე სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს კი - საშუალოდ, 1%-ზე ნაკლები.

გაზეთი არჩევნებში მონაწილე თითქმის ყველა პოლიტიკურ ძალას მკვეთრად ურაცოფითად წარმოაჩენდა. მმართველი გუნდი, ისევე როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჟურნალისტების მხრიდან მწვავე კრიტიკის ობიექტი იყო. გამონაკლისს წარმოადგენდნენ: „პატრიოტთა ალიანსი“, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე და „ქართული იდეა“, რომელთა გაშუქების უდიდესი წილი ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა. „პატრიოტთა ალიანსს“ დადებითი ტონის ყველაზე მაღალი (16%) მაჩვენებელიც დაუფროვდა.

პოლიტიკური პარტიების კონკრეტულ აქტივობებს და საარჩევნო დაპირებებს გამოცემა ნაკლებად აშუქებდა. თუმცა, საარჩევნო თემატიკაზე ქვეყნდებოდა სტატიები, სადაც განხილული იყო ცვლილება საარჩევნო სისტემაში, საარჩევნო გარემო, პარტიული სიები, პარტიების გამარჯვების შანსები, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები არჩევნების შემდეგ და ა.შ.

გაზეთში პოლიტიკოსების მიმართ გამოთქმული მოსაზრებები ხშირად ურაცოფითი და, ზოგ შემთხვევაში, შეურაცხმყოფელიც კი იყო: „თავდაცვის მინისტრად “გირჩის” ლიდერს, ზურაბ ჯაფარიძეს, ვნიშნავთ. რატომ მაინცდამაინც ის? პირველი - იმიტომ რომ მტერს შიშველ უკანალს დაანახებებს და თუ უკან არ აქცია, პირველ დარტყმას თავად მიიღებს... საგარეო საქმეთა მინისტრად უპირობოდ უნდა დაინიშნოს ნიკა მაჭუტაძე. ყველაზე დაძაბული სამუშაო სწორედ საგარეო უწყებას აქვს, დიპლომატები მუდმივი სტრესის ქვეშ არიან და, მაჭუტაძე კოლეგებს რომ შეხვდება, ხომ გახალისდებიან, განიტვირთებიან, ტვინს გაანიავენ. მერე ნახეთ ყველას ნიკასთან მოუხდება შეხვედრა და დასვენება... გიგი [უგულავა] სულ იმას ამბობს, საოცარი ცურვა ვიციო. ჰოდა ლარი ხომ ჰყავთ გაშვებული თავისუფალ ცურვაში და აყოლებს ბრასს და ბატერფლაის გიგი-ბატონი” (სტატია „ოპოზიციის ალტერნატიული მთავრობა“, 11-17.11, გვ.2).

არჩევნების შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებულ სტატიებში გამოცემა, გამწვავებული ეპიდვითარების ფონზე, კრიტიკულად აფასებდა ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებს და მათ სიტუაციის მიზანმიმართულად გართულებაში, ხოლო ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებდა: „ნათლად გამოჩნდა, რომ მათ {ოპოზიციურ პარტიებს} არ აინტერესებთ არც ერთეულების, არც ასეულებისა და არც ათასეულების სიცოცხლე და ჯანმრთელობა; მთავარია მიზანს მიაღწიონ და ხელისუფლებაში მოვიდნენ...“

ჰოდა, ვინმემ აგვიხსნას: მე და ასიათასობით ჩემნაირმა რატომ უნდა ვიხადოთ გადასახადი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც არც საკუთარ თავს უფრთხილდებიან და არც სხვის ჯანმრთელობას, ხელისუფლება კი ამ ყველაფერს მშვიდად უყურებს, დემოკრატიზაციას თამაშობს, სწორედ რომ თამაშობს, რადგან, როგორც «მხედრიონის» ლიდერი თავის დროზე ამბობდა, დემოკრატია ლობიოობა არ არისო, ახლა სწორედ ლობიოობაში აქვს არეული ხელისუფლებას დემოკრატია.» (11-17.11, გვ.11).


„საქართველო და მსოფლიო“ მკაფიოდ პრორუსული გაზეთია - ანალიტიკური სტატიები და ინტერვიუები ანტიევროპული და ანტიამერიკული აზრის გამტარებელია, დასავლეთის საპირწონე კი ყოველთვის რუსეთია.

ანალიტიკურ სტატიებში ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, მთავრობისა და მმართველი პარტიის აქტივობები საქართველო-დასავლეთის და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ჭრილში იყო განხილული და შეფასებული, თითქმის ყველა პუბლიკაციაში იმაზე იყო საუბარი, რომ მთავრობა, მმართველი პარტია და მთლიანად საზოგადოება რუსეთის მიმართ უფრო ლოიალური უნდა იყოს. მაგალითად: „ისე როგორ შეიძლება გამოთავყვანდეს ხალხი (ხელისუფლებას ვგულისხმობ, უპირველესად), რომ ისტორიულად ჩვენი გადამრჩენი მტრად გამოაცხადოს, დამლუპველი კი - მეგობრად!“ (სტატია „ცოდვის ტრიალი“ (11-17.11, გვ.18).

გაზეთის თითქმის ყველა ნომერში ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველო-აშშ-ს ურთიერთობები იყო. სტატიების ავტორები ხელისუფლებას დასავლეთთან, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გამო მწვავედ აკრიტიკებდნენ და ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს ეჭვქვეშ აყენებდნენ. გამოცემის მხრიდან თავდასხმის ხშირი ობიექტი საქართველოში აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი იყო. მაგალითად: სტატია „ჩვენი „დამოუკიდებელი“ ქვეყანა იმაზეა დამოკიდებული როგორ გუნებაზე გაიღვიძებს ამერიკის ელჩი. დასავლელ „პარტნიორებს“ არ სურთ, რუსეთთან სასაუბროდ პირისპირ დაგვსვან“ (23-29.09 გვ. 8); სტატიაში „დეგნანი და მისი მონა მორჩილნი“ (18-24.11, გვ.14) არჩევნების შემდგომ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებებში ელჩის მონაწილეობაზე ჟურნალისტის ტექსტი შეურაცხმყოფელი და არაეთიკური იყო: „...უცებ წარმოვიდგინე სავარძელში მოკალათებული, სააბაზანო ხალათში გამოწყობილი ქალბატონი კელი კალთაში კატით და მინაბული თვალებით როგორ უსმენს არჩილ თალაკვაძისა და გრიგოლ ვაშაძის საუბარს. მარტივად რომ ვთქვათ, ისე გამოდის, რომ, პოლიტიკური გაგებით, დეგნანი „კანონიერი ქურდია“ და არიფები მასთან „საბაზროდ“ ავიდნენ.“

მონიტორინგის დროს დაფიქსირდა გენდერული ნიშნით სენსიტიური გაშუქების შემთხვევები: „ქართული ოცნების“ მიერ ჩადენილი დანაშაულის ტოლფასი შეცდომების მიუხედავად თუ იმის, რომ იდიოტი პრეზიდენტი (უკაცრავად, მაინც ქალია) გვყავს... „ქართულ ოცნებას“ გარანტირებული აქვს არჩევნებში გამარჯვება?“, „[ნიკა მაჭუტაძეს] იმედი აქვს, რომ მულტიმილიონერ ზაზა ოქუაშვილის მეუღლე ნატო ჩხეიძე (რომელიც „პატრიოტთა ალიანსიდან“ ქართული პოლიტიკის „ამომავალი ვარსკვლავის“, მაჭუტაძის, პარტიაში გადაბარგდა) დეპუტატის მანდატს მეუღლის ფულით უყიდის“. (22-28.07, გვ. 10).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%) გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" 15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



გაზეთი „ალია“

ყოველკვირეული გაზეთი „ალია“ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. თუმცა, საარჩევნო თემებს, პოლიტიკური პარტიების აქტივობებსა თუ პროგრამებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. გამოცემა თითქმის ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ უარყოფითი განწყობით გამოირჩეოდა. ხშირ შემთხვევაში, მოვლენები ცალმხრივად, სუბიექტურად შუქდებოდა და ბრალდებები ფაქტებით გამყარებული არ იყო. გაზეთში გვხვდებოდა შურაცხმყოფელი ტერმინოლოგია და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები.

გაზეთმა „ალიამ“ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (37%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (11%) და მთავრობა (10%) გააშუქა. არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებიდან შედარებით ვრცლად ასევე გაშუქდნენ: „პატრიოტთა ალიანსი“ (7%), „ტრიბუნა“ და „ევროპული საქართველო“ (4-4%). ხოლო, დანარჩენი საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილი ფართობი ჯამში 17%-ს შეადგენდა.

სუბიექტების გაშუქების ტონი, დიდწილად, უარყოფითი იყო, ხოლო სტატიები, ხშირ შემთხვევაში - დაუბალანსებელი. გაზეთში მოვლენები ცალმხრივად შუქდებოდა. ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას და როგორც მმართველი გუნდის, ასევე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მისამართით ბრალდების წაყენებას. მაგალითად: „ზიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ 31 ოქტომბრის არჩევნები უნამუსოდ გააყალბეს... რატომ ვერ მოიგო „ქართულმა ოცნებამ“

არჩევნები უფრო დამაჯერებლად და რაში დასჭირდათ ასეთი უხეში გაყალბება? ფული არ დაარიგეს წინასაარჩევნოდ? უარესად გაწუწუნდნენ? თუ იმიტომ რომ ხალხი ფეხებზე დაიკიდეს, შავ დღეში ჩააგდეს“ (სტატია „რისი ეშინია ბიძინა ივანიშვილს?“, 2-8.11, გვ.2); „მოიკითხეთ უბნებზე, როგორ უჭერდნენ „ნაცების“ აქტივისტები მხარს „ოცნების“ წარმომადგენლებს მაშინ, როცა საქმე სხვა ოპოზიციური პარტიის ბიულეტენის გაბათილებას ეხებოდა. ანუ „ნაციონალების“ მიზანი - მაქსიმალურად დაბალი პროცენტი დანარჩენ ოპოზიციას, მიღწეულია. ახლა ისინი პირველი ვიოლინოს როლს თამაშობენ, სხვები ხმას ვერ იღებენ და შეიძლება ითქვას, ბრმად მიჰყვებიან ყველაფერს, რასაც კი „ნაციონალები“ მოიმოქმედებენ“-გვეუბნება „ნაციონალების“ ერთ-ერთი მაღალჩინოსანი“ (სტატია „2-3 კაცი გამსვლელი სიიდან „ოცნებას“ უკვე „გაკერილი“ ჰყავს. პრინციპში მარტო კაცი არა, ქალიც...“ 9-15.11, გვ.2).

გარდა იმისა, რომ ბრალდებები ფაქტებით გამყარებული არ იყო, ზოგ შემთხვევაში, ჟურნალისტთა გამონათქვამები მიკერძოებულთან ერთად შურაცხმყოფელიც იყო: „ბიჭო ალუჩა კი არა და არჩილ... ხომ გეშინია იმ დედამო..მა არ გაიგოს შენი არაოფიციალური გოლდქარდის შესახებ“ (5-11.10, გვ. 4); “ისე რა დრო დააყენეს “ქოცებმა”? “ნაცებს” ეხვეწებიან პარლამენტში შემოდითო და “ნაცები” კი კეკლუცობენ - არ შემოვალთ, მარტო იგორავეთ ლოგინშიო!” (სტატია „სკანდალური ფაქტები «ქართული ოცნების» კულუარებიდან“, 16-22.11, გვ.12).

გამოცემაში ხშირად გვხვდებოდა საექვო წყაროებზე დაყრდნობით მოპოვებული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევები - იბეჭდებოდა სტატიები „ქართული ოცნების“ კულუარებში მიმდინარე პროცესებზე, რომელთა წყარო „ოცნების მაღალჩინოსანი“, „ოცნების ექსპერტი“ ან „მაღალი თანამდებობის პირი“ იყო. ზოგჯერ ინფორმაციებს მეტი დამაჯერებლობისთვის დართული ჰქონდა ფრაზები: „ექსკლუზიური ამბები მიაწოდეს „ალიას“, „კულუარული ინფორმაციით“, „გავრცელებული ინფორმაციით“, „წყაროს ცნობით“.

არჩევნების შემდგომ პერიოდში გაზეთი აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს და მკითხველს არჩევნების სავარაუდო გაყალბების თუ მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ სხვადასხვა ვერსიებს აცნობდა, რომელიც ფაქტებით გამყარებული არ იყო და „სკანდალურ კულუარულ ინფორმაციას“ ეყრდნობოდა. მაგალითად: “საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა, აქ რომ არაფერი იმალება, ესეც ვიცით, მაგრამ საარჩევნოდ კულუარებში რომ საკუთარ გუნდს შემოსწყრა “ქართული ოცნების” “გენერალიტეტი”, ეს ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის და სანდო წყაროზე დაყრდნობით, მოდი მე მოგიყვებით ძვირფასო მკითხველებო!” (16-22.11, გვ.12).

„ალიაში“ ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სოციალური ქსელის სტატუსები წარმოადგენდა. მათ გაზეთში საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ: ქვეყნდებოდა როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი, ასევე რიგითი მოქალაქეების პოზიცია სხვადასხვა, მათ შორის პოლიტიკურ თემებზეც. მათში განსხვავებული მოსაზრებები იყო გამოთქმული და ხშირად კონკრეტული პოლიტიკოსის მისამართით მწვავე, კრიტიკული, ხანდახან არაეთიკური და შეურაცხმყოფელი განცხადებებიც კეთდებოდა. კრიტიკის ობიექტს კი პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

მონიტორინგი ასევე შეეხო გაზეთის ბოლო გვერდზე გამოქვეყნებულ პოლიტიკოსთა ფოტოებიან კროსგორდებს, სადაც სხვადასხვა პარტია და პოლიტიკოსი იყო გამარჯვებული, შეკითხვა-ლექსები მათ მიმართ, უმეტესწილად, შეურაცხმყოფელ გამოთქმებს შეიცავდა.

„ალიაში“ წინა წლებთან შედარებით, იკლო სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებმა. ეს შეეხება არა მარტო სტატიებს, არამედ გაზეთში დაბეჭდილ ფოტოებსაც, რომლებიც, ძირითადად, ნეიტრალური იყო და მასზე გამოსახული პოლიტიკოსების მკვეთარდ უარყოფითად წარმოჩენას ან დისკრიმინაციას არ ისახავდა მიზნად.


„ალიაში“ დაფიქსირდა გენდერულად სენსიტიური გაშუქების შემთხვევა, როცა „ქალი“ შეურაცხყოფისათვის გამოიყენება. მაგალითად, ფრაზა ყოფილი დეპუტატის, ხათუნა ხოფერიას პოსტიდან: „აქ ჭაობია და არაფერი არ აშენდება თქვა ქალბატონმა ლევან ბერძენიშვილმა“ (6-12.07, გვ. 7).

საქართველოს საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების კანონის მიღებაზე საუბრისას „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივნის, ირაკლი კობახიძის განცხადების („არ იქნება ურიგო, თუ საპარლამენტო სიაში პარტიებს ყოველი მეოთხე ქალი ეყოლება“) შეფასება ჟურნალისტის მიერ: „ოცნების საპარლამენტო სიაში ბევრი ქალი იქნება. მმართველი პარტიის თავმჯდომარე მიხვდა, რომ მის მიერ პარლამენტში ქუჩიდან შეყრილმა კაცებმა არ გაუმართლეს და ბევრმა უღალატა. ამიტომ, ის ახლა ფსონის გაკეთებას ქალებზე აპირებს და სიაში მოხვედრილთა დიდი პროცენტი ივანიშვილის მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის სადაქლოდან იქნება“ (6-12.07, გვ. 3).

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "ალია"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



გაზეთი „გურია News“

ყოველკვირეული გაზეთი „გურია ნიუსი“, ძირითადად, რეგიონის ახალ ამბებს აშუქებდა. გამოცემა ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ ნეიტრალური განწყობით გამოირჩეოდა, დაბალანსებული იყო და სხვადასხვა მხარეთა პოზიციებს წარმოაჩენდა.

„გურია ნიუსმა“ მონიტორინგის სუბიექტებიდან ყველაზე მეტად „ქართული ოცნება“ (26%), ადგილობრივი მთავრობა (24%) და მთავრობა (15%) გააშუქა. არჩევნებში მონაწილე სუბიექტებიდან შედარებით ვრცლად გაშუქდნენ: „ევროპული საქართველო“ (8%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (6%) და „ლელო საქართველოსთვის“ (5%).

გაზეთი მიუკერძოებლად და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მუშაობდა, არ გვხვდებოდა სუბიექტური, გადაუმოწმებელი და დაუსაბუთებელი ინფორმაციები. თუმცა, ჟურნალისტები მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, რის გამოც როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია უფრო ნეიტრალურად (საშუალოდ, 75%) გაშუქდა, ვიდრე კრიტიკულად. სუბიექტების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება, ძირითადად, რესპონდენტთა განცხადებებში ვლინდებოდა.

„გურია ნიუსი“ რეგიონში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რეგიონის რაიონულ ცენტრებსა თუ სოფლებში არსებულ ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, სხვადასხვა სოციალურ საკითხებს. საკითხების გაშუქებისას წარმოდგენილი იყო როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე ოპოზიციისა და მოსახლეობის კრიტიკული კომენტარები. ადგილობრივი მთავრობის 19%-იანი უარყოფითი ტონი, უმეტესწილად, სწორედ რესპონდენტთა განცხადებებმა და საკრებულოს სხდომების ჩანაწერების გამოქვეყნებამ განაპირობა. ჟურნალისტები პასუხისმგებელი პირებისგან კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხებს ითხოვდნენ, თუმცა მათი მხრიდან რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ დაფიქსირებულა და ბალანსი, უმეტესწილად, დაცული იყო.


„გურია ნიუსი“ საარჩევნო თემებსაც აქტიურად აშუქებდა - გამოქვეყნდა ინფორმაცია გურიის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების შესახებ; პროექტის „ვითხოვთ პასუხს“ (ხორციელდება „აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა“ (USAID) და „ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის“ (NDI) დაფინანსებით) ფარგლებში, გაშუქდა სხვადასხვა პარტიის მაჟორიტარი კანდიდატის ხედვები და გეგმები - მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდა მათი რეგიონის მუნიციპალიტეტებისთვის აქტუალურ, მნიშვნელოვან საკითხებზე კონკრეტულ საკითხებთან (სკოლამდელი განათლება, მიგრაცია რეგიონიდან, სოფლის მეურნეობა, ხარისხიანი სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა) დაკავშირებით არჩევნებში მონაწილე პოლიტიკოსების მოსაზრებებს გაცნობოდა.

„გურია ნიუსი“ მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდა. გამოცემა ერიდებოდა დაუსაბუთებელ მსჯელობას და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნებას.

სუბიექტების გაშუქება ტონის მიხედვით (%)

გაზეთი "გურია news"

15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020




გენდერულად სენსიტიური გაშუქება

პროექტის ფარგლებში საარჩევნო თემების მონიტორინგისას დაკვირვება გენდერული ნიშნით სენსიტიურ გაშუქებაზეც ხდებოდა. ყურადღება ექცეოდა ისეთ გაშუქებას და ტერმინების გამოყენებას, რომლებიც პირდაპირი ან ფარული ფორმებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს აძლიერებს.

გაზეთებში ქალი პოლიტიკოსების და კანდიდატების გაშუქებას თითქმის 6-ჯერ ნაკლები ადგილი დაეთმო ვიდრე კაცი პოლიტიკოსების.

გაზეთებში სუბიექტების გაშუქება სქესის მიხედვით (%)
15 ივნისი - 21 ნოემბერი, 2020



მონიტორინგმა აჩვენა, რომ ბეჭდურ მედიაში გენდერული სტერეოტიპების გამყარებას ხელს უწყობდნენ როგორც რესპონდენტები, ასევე ზოგიერთი გამოცემის ჟურნალისტები.

განსაკუთრებით ხშირი იყო გაშუქების ისეთი შემთხვევები, როდესაც „ქალი“ და „ქალური ქცევა“ შეურაცხყოფისთვის გამოიყენებოდა; აგრეთვე განცხადებები, როდესაც პოლიტიკოსი ქალის გარეგნობის ხაზგასმით მისი საქმიანობის დაკნინებას და იმიჯის შელახვას ცდილობდნენ; ფარული ფორმები, რომლიც ამყარებს სტერეოტიპს, რომ ქალს დაცვა სჭირდება, რომ პოლიტიკოსი ქალის უკან ყოველთვის ძლიერი კაცი (ქმარი, მამა) დგას.

მონიტორინგის დასაწყისში გენდერული ნიშნით სენსიტიური განცხადებების მიზეზი საქართველოს საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტირების შესახებ კანონის მიღებაც გახდა. პოლიტიკოსი კაცები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით უარყოფით პოზიციებს აფიქსირებდნენ და ზოგჯერ შეურაცხმყოფელი განცხადებების გაკეთებასაც არ ერიდებოდნენ.

